International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 6, Issue 2

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/TWVY3585

Economic History and the Methodology of Scientific Research in the Works of Ivane Javakhishvili

Shota Veshapidze [a1]

[a] Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ARTICLE INFO

Keywords:

Historical methodology
Economic factor
Social structure
Historical and scientific criticism
Comparative method
Georgian historiography.

ABSTRACT

The growing importance of interdisciplinary approaches in the humanities, particularly in the context of globalization, rapid social change, and increasing economic inequality, highlights the continuing relevance of historical methodology for understanding both past and present societies. In this respect, the scholarly legacy of Ivane Javakhishvili represents a significant contribution to the development of Georgian historiography as a scientific discipline. His methodological interpretation of Ilia Chavchavadze's historical concept provided a systematic framework for analyzing historical processes through the interaction of social, economic, political, and cultural factors. Rather than viewing history as a sequence of isolated events, Javakhishvili emphasized the interconnected nature of historical development and the necessity of critical, evidence-based research.

The aim of this study is to examine Ivane Javakhishvili's methodological perspective and to analyze his interpretation of Ilia Chavchavadze's historical concept, with particular attention to the social and economic foundations of historical development. The research object is the historiographical legacy of Ivane Javakhishvili, while the research subject focuses on his methodological principles and interpretation of Ilia Chavchavadze's historical vision. The study seeks to identify the main features of Chavchavadze's historical concept, evaluate Javakhishvili's methodological contribution, assess the significance of social and economic determinants in historical processes, and demonstrate the role of objectivity, critical analysis, and complexity in historical inquiry.

The research employs an interdisciplinary methodological framework that combines historical-critical analysis, comparative source analysis, cause-and-effect analysis, systemic interpretation, and the principle of historical perspective, which requires historical events to be understood within their specific temporal and social contexts.

The findings demonstrate that Ivane Javakhishvili transformed Ilia Chavchavadze's historical ideas into a coherent scientific methodology grounded in rigorous source criticism

[1] Corresponding author.
E-mail addresses: shota.veshapidze@tsu.ge (Sh.Veshapidze).
ORCID: https://orcid.org/0000-0003-0933-3648

and comprehensive analysis. His approach confirms that social relations, economic structures, and material conditions constitute essential determinants of historical development while remaining inseparable from political and cultural processes. The study further illustrates that Javakhishvili's methodology established enduring principles of historical research - objectivity, critical evaluation of evidence, and multidimensional analysis - which continue to provide valuable theoretical and methodological guidance for historiography, economic history, and broader social science research.

ეკონომიკური ისტორია და მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში

შოთა ვეშაპიძე[a][2]

[a] ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტატიის შესახებ

საკვანძო სიტყვები:

ისტორიული მეთოდოლოგია
ეკონომიკური ფაქტორი
სოციალური სტრუქტურა
ისტორიული და მეცნიერული კრიტიკა
შედარებითი მეთოდი
ქართული ისტორიოგრაფია

აბსტრაქტი

თემის აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ინტერდისციპლინური მიდგომების მზარდი მნიშვნელობით, განსაკუთრებით გლობალიზაციის, სოციალური ტრანსფორმაციების და ეკონომიკური უთანასწორობის ზრდის პირობებში. ამ კონტექსტში ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური ხედვა და მისი მიერ ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის ინტერპრეტაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს ისტორიული პროცესების, როგორც კომპლექსური და მრავალფაქტორული მოვლენების, გააზრებისთვის. აღნიშნული მიდგომა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებს, აქტუალურია როგორც ისტორიოგრაფიული კვლევებისთვის, ასევე თანამედროვე საზოგადოებრივი პროცესების ანალიზისთვის.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური ხედვის გაანალიზება და იმის გამოვლენა, თუ როგორ ახდენს იგი ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის ინტერპრეტაციას, განსაკუთრებით ისტორიული პროცესის სოციალური და ეკონომიკური საფუძვლების კონტექსტში. **კვლევის ობიექტი:** კვლევის ობიექტს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა. **კვლევის საგანი:** კვლევის საგანია ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური მიდგომები და ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის მისეული ინტერპრეტაცია. **კვლევის ამოცანებია:** ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის ძირითადი პრინციპების იდენტიფიცირება; ივანე ჯავახიშვილის მიერ აღნიშნული კონცეფციის მეთოდოლოგიური გააზრების ანალიზი; ისტორიული პროცესის სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორთა როლის შეფასება; ისტორიული კვლევის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების (ობიექტურობა, კრიტიკა, კომპლექსურობა) გამოკვეთა; ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული ფორმირების პროცესის ანალიზი.

მეთოდოლოგიური მიდგომა: კვლევა ეფუძნება კომპლექსურ, ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც მოიცავს ისტორიულ-კრიტიკულ

[2] ავტორი კორესპონდენტი.
ელექტრონული ფოსტა: shota.veshapidze@tsu.ge (შ.ვეშაპიძე).
ORCID: https://orcid.org/0000-0003-0933-3648

ანალიზს, წყაროთა შედარებით შესწავლას, მიზეზ-შედეგობრივ ანალიზს და სისტემურ ინტერპრეტაციას. გამოყენებულია ისტორიული პერსპექტივის პრინციპი, რომელიც გულისხმობს მოვლენების გააზრებას მათი ეპოქის კონტექსტში.

ძირითადი შედეგები და გამოყენება: კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ივანე ჯავახიშვილმა ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფცია გარდაქმნა მეცნიერულ და მეთოდოლოგიურად ჩამოყალიბებულ სისტემად. გამოვლინდა, რომ ისტორიული პროცესის გააზრებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები — საზოგადოებრივი ურთიერთობები, ეკონომიკური სტრუქტურები და მატერიალური პირობები. ასევე დადასტურდა, რომ ჯავახიშვილის მიდგომა ამკვიდრებს ისტორიული კვლევის ისეთ პრინციპებს, როგორიცაა ობიექტურობა, კრიტიკული ანალიზი და კომპლექსურობა. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ისტორიოგრაფიის, ეკონომიკური ისტორიისა და სოციალური მეცნიერებების სფეროში, როგორც თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი, ასევე თანამედროვე საზოგადოებრივი პროცესების ანალიზისათვის.

1. შესავალი

ქართული ისტორიოგრაფიის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ინტელექტუალურ მემკვიდრეობას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ეროვნულ იდეას და მეცნიერულ ანალიზს. გრიგოლ რობაქიძის სიმბოლური თხრობის თანახმად, თითქოს ილია ჭავჭავაძე (1837 – 1907) დასწრებია ივანე ჯავახიშვილის (1876 – 1940) საჯარო ლექციას და იგი თავის მემკვიდრედ გამოუცხადებია (რობაქიძე, 1996). ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც ლიტერატურული მეტაფორა. იგი ასახავს ღრმა ინტელექტუალურ და მსოფლმხედველობრივ მემკვიდრეობას, რომელმაც განსაზღვრა ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების ძირითადი მიმართულებები ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ეროვნული იდეა ეფუძნებოდა ენის, კულტურისა და ისტორიული ცნობიერების პრიმატს. ივანე ჯავახიშვილი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც საფუძვლიანად დაამუშავა ილია ჭავჭავაძის მოძღვრების მეთოდოლოგიური და გამოყენებითი მნიშვნელობა და მისი მთავარი, ფუნდამენტური მიმართულებები გამოყო (ვეშაპიძე, 1999). აღნიშნული თეორიული საყრდენის საფუძველზეც ივანე ჯავახიშვილმა ააგო ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული სისტემა. ამ თვალსაზრისით, ჭავჭავაძის „მემკვიდრედ გამოცხადება“ სიმბოლურად გამოხატავს არა პიროვნულ, არამედ იდეათა გადაცემის პროცესს, სადაც ეროვნული იდეოლოგია ტრანსფორმირდება აკადემიურ დისციპლინად.

ამრიგად, აღნიშნული ინტელექტუალური მემკვიდრეობა წარმოაჩენს, თუ როგორ გადაიზარდა XIX საუკუნის ეროვნული მოძრაობის იდეური საფუძვლები XX საუკუნის მეცნიერულ კვლევებში და როგორ ჩამოყალიბდა ქართული ისტორიოგრაფია, როგორც ეროვნული თვითშემეცნების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი.

სტატიის კვლევის საგანია ივანე ჯავახიშვილის ისტორიული ნაშრომების, განსაკუთრებით 1937 წელს წარმოდგენილი მოხსენების - „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ - ანალიზი, კერძოდ, მის მიერ ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის ინტერპრეტაცია და ისტორიული პროცესის სოციალური და ეკონომიკური საფუძვლების გააზრება ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური ხედვის ფარგლებში.

კვლევის მიზანია, ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური ხედვის გაანალიზება, კერძოდ - როგორ ახდენს იგი ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის ინტერპრეტაციას და რა მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიული პროცესის სოციალურ და ეკონომიკურ საფუძვლებს.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა, ხოლო საგანს - მისი მეთოდოლოგიური მიდგომები და ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის გააზრება.

მაშასადამე, აღნიშნული კვლევის მიზანი მდგომარეობს იმის შესწავლაში, თუ როგორ ახდენს ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ გააზრებას, განსაკუთრებით ისტორიული პროცესის სოციალური და ეკონომიკური საფუძვლების კონტექსტში. ნაშრომი მიზნად ისახავს გამოავლინოს, რა როლს ანიჭებს ჯავახიშვილი ისტორიული განვითარების განმაპირობებელ ფაქტორებს - საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ეკონომიკურ სტრუქტურებს, კულტურულ გარემოსა და მატერიალურ პირობებს - და როგორ გარდაქმნის იგი ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-ისტორიულ იდეებს მეცნიერულად ჩამოყალიბებულ ისტორიოგრაფიულ სისტემად.

საკვლევი კითხვა:

როგორ ახდენს ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის ინტერპრეტაციას და რა მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიული პროცესის სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს საკუთარი მეთოდოლოგიური ხედვის ფარგლებში?

კვლევა ასევე მიზნად ისახავს დაადგინოს, თუ რა მეთოდოლოგიური პრინციპები - ობიექტურობა, წყაროთა კრიტიკული ანალიზი, შედარებითი მეთოდი, ისტორიული პერსპექტივა და კომპლექსური მიდგომა - განსაზღვრავს ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ ხედვას და როგორ აისახება ეს პრინციპები ქართული ისტორიოგრაფიის ფორმირებასა და

განვითარებაში. ამასთანავე, ნაშრომი შეისწავლის, რამდენად შეიძლება ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური მემკვიდრეობის გამოყენება თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, განსაკუთრებით ისტორიული და ეკონომიკური პროცესების ინტერდისციპლინური ანალიზის მიმართულებით.

1.1. კვლევის აქტუალურობა

თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ისტორიული პროცესების ინტერდისციპლინური გააზრება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რაც განაპირობებს კლასიკური ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ახალი პერსპექტივებით გადაკითხვას. ამ კონტექსტში, ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური ხედვა და მისი ინტერპრეტაცია ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის შესახებ იძენს განსაკუთრებულ აქტუალობას. აღნიშნული თემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ისტორიოგრაფიის ისტორიის შესწავლისთვის, არამედ თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური პროცესების ანალიზისათვისაც.

გლობალიზაციის, სოციალური ტრანსფორმაციების და ეკონომიკური უთანასწორობის ზრდის პირობებში, ისტორიის როგორც მხოლოდ ნარატიული დისციპლინის აღქმა სულ უფრო ნაკლებად საკმარისია. სწორედ ამ ვითარებაში იკვეთება ილია ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული მიდგომის მნიშვნელობა, რომელიც ისტორიულ პროცესებს განიხილავს, როგორც მრავალფაქტორულ, მიზეზ-შედეგობრივ და სისტემურ მოვლენას. მათი ხედვა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალურ ურთიერთობებს, ეკონომიკურ სტრუქტურებსა და კულტურულ კონტექსტს, თანხვედრაშია თანამედროვე ისტორიული კვლევის მეთოდოლოგიურ მოთხოვნებთან.

თემის აქტუალობას ზრდის ასევე ის გარემოება, რომ თანამედროვე საზოგადოებები კვლავ აწყდებიან იმავე ტიპის გამოწვევებს, რომელთაც ილია ჭავჭავაძე უსვამდა ხაზს - სოციალურ უთანასწორობას, ელიტების ინტერესთა კონფლიქტს და მმართველობით პრობლემებს. ამდენად, მისი იდეების გააზრება, ჯავახიშვილის მეცნიერული ინტერპრეტაციის საფუძველზე, არა მხოლოდ ისტორიული წარსულის ახლებური ინტერპრეტაციის, არამედ თანამედროვე პროცესების კრიტიკული ანალიზის კარგი საშუალებაა.

ამრიგად, აღნიშნული საკითხის კვლევა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი აერთიანებს ისტორიულ მემკვიდრეობას და თანამედროვე მეცნიერულ დისკურსს, წარმოაჩენს ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების კვლევის მნიშვნელობას და ხაზს უსვამს იმ მეთოდოლოგიური პრინციპების სიცოცხლისუნარიანობას, რომლებიც ქართული ისტორიოგრაფიის კლასიკოსთა ნააზრევში ჩამოყალიბდა.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. ივანე ჯავახიშვილი და ილია ჭავჭავაძე: ინტელექტუალური მემკვიდრეობა და ქართული მეცნიერულ-ისტორიული აზროვნების ფორმირება

ივანე ჯავახიშვილი - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ქართული მეცნიერების ისტორიაში, რომლის ნაშრომებმა და მოღვაწეობამ განსაზღვრა მისი განვითარების მიმართულება და მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა მომდევნო თაობების სამეცნიერო აზროვნების ჩამოყალიბებისთვის.

ივანე ჯავახიშვილი იყო გამორჩეული ქართველი ისტორიკოსი და მეცნიერი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც ისტორიოგრაფიის განვითარებაში, ასევე ეროვნული მეცნიერების ჩამოყალიბებაში. მისი კვლევები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდს მოიცავს და გამოირჩევა სიღრმით, სისტემურობითა და მეცნიერული მიდგომით.

მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება. 1918 წელს შექმნილი ეს ინსტიტუცია გახდა პირველი ევროპული ტიპის უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში და მნიშვნელოვანი ცენტრი განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის. ჯავახიშვილი აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაში და წლების განმავლობაში განსაზღვრავდა მის სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულებებს.

ივანე ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სხვადასხვა სამეცნიერო დარგის განვითარებაში, მათ შორის ისტორიის, ფილოლოგიის, ეკონომიკისა და კულტურის კვლევაში. მისი ნაშრომები დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას და წარმოადგენს საფუძველს მრავალი თანამედროვე კვლევისთვის. მისი სამაგალითო ცხოვრებისა და მრავალმხრივი სამეცნიერო ღვაწლის შეფასებას არაერთი ფუნდამენტური მონოგრაფია ეძღვნება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართული მეცნიერების განვითარებაში (ჯორბენაძე, 1984).

2026 წელს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი აღინიშნება. ეს მნიშვნელოვანი თარიღი გვაძლევს შესაძლებლობას, გავიხსენოთ მისი ღვაწლი და შევაფასოთ მისი გავლენა ქართული მეცნიერებისა და განათლების განვითარებაზე. ივანე ჯავახიშვილის საქმიანობა დღემდე რჩება მაგალითად იმისა, თუ როგორ შეუძლია ერთ ადამიანს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ინტელექტუალურ და კულტურულ განვითარებაში.

ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა იმ სიღრმისეულ პროცესს განასახიერებს, სადაც ერის სულიერი ენერგია ცოდნად, მეცნიერებად და ისტორიულ თვითშეგნებად გარდაიქმნება. ამ

კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იკითხება გრიგოლ რობაქიძის მონათხრობი, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და ჯავახიშვილის ურთიერთობას არა როგორც ფაქტობრივ შეხვედრას, არამედ როგორც სულიერი მემკვიდრეობის სიმბოლურ აქტს წარმოგვიდგენს.

ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა განასახიერებს იმ სიღრმისეულ პროცესს, რომლის დროსაც ერის სულიერი ენერგია ცოდნად, მეცნიერებად და ისტორიულ თვითშეგნებად გარდაიქმნება. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გრიგოლ რობაქიძის წერილი, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობას არა როგორც ფაქტობრივ შეხვედრას, არამედ როგორც სულიერი მემკვიდრეობის სიმბოლურ აქტს წარმოგვიდგენს.

რობაქიძის ხედვაში ეს ეპიზოდი იქცევა ერთგვარ საკრალურ მომენტად, სადაც დროის ორი განსხვავებული ნაკადი - ილიას მიერ ფორმულირებული ეროვნული იდეა და ჯავახიშვილის მეცნიერული აზროვნება - ერთმანეთს ერწყმის. ახალგაზრდა მეცნიერი სცენაზე დგას მშვიდად, თავდაჭერილად, შინაგანი სიმძიმით გამსჭვალული სიტყვით მიმართავს მსმენელს და ნელ-ნელა ამხელს იმ სიღრმეებს, სადაც ერის ისტორია არა მხოლოდ ფაქტთა ჯაჭვია, არამედ სულიერი გამოცდილების უწყვეტი დინება. მისი სიტყვა მსმენელში აღვიძებს არა მხოლოდ ინტერესს, არამედ ძალის, ღირსებისა და ისტორიული პასუხისმგებლობის განცდას (ვეშაპიძე, 2018).

კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყაროთა ანალიზს, რომელიც ეფუძნება როგორც ივანე ჯავახიშვილის, ისე ილია ჭავჭავაძის ნაშრომებსა და პუბლიცისტურ მემკვიდრეობას.

მნიშვნელოვანი წყაროა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი - „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ მისი ინტერპრეტაცია ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის შესახებ. ამასთანავე, მნიშვნელოვანი წყაროს ჯგუფს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები, როგორიცაა: „აი ისტორია“, „გზა-და-გზა და სხვათა შორის“, „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“, „ლუარსაბ წამებული“, „დავით აღმაშენებელი“, „ასი წლის წინათ“, „ერი და ისტორია“, „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“, „საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი“, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“, და სხვა. აღნიშნული წერილები, როგორც ივანე ჯავახიშვილი 1937 წელს აღნიშნავდა, 1927 წელს გამოქვეყნდა „ნაწერების სრული კრებულის“ V ტომში, რომელიც შედგენილია პირველწყაროებთან შედარებით და შევსებულია ახალი ტექსტებით (ჯავახიშვილი, 1938). წყაროთა ბაზას ასევე ამდიდრებს ივანე ჯავახიშვილის სხვა ნაშრომები, მათ შორის: „მამულიშვილობა და მეცნიერება“ „საქართველოს ეკონომიური ისტორია“,„ქართველი ერის ისტორია“, „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ

და ახლა“, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ და სხვა (ჯავახიშვილი, 1904;1930; 1934; 1977; 1979; 1982; 1983).

ამ წყაროების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, ერთი მხრივ, განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებები, ხოლო მეორე მხრივ - გამოვავლინოთ, როგორ ახდენს ივანე ჯავახიშვილი ამ იდეების მეთოდოლოგიურ გააზრებასა და ინტერპრეტაციას. სწორედ წყაროთა ამგვარი კომპლექსური ანალიზი ქმნის საფუძველს კვლევის მიზნის სრულყოფილად რეალიზებისთვის.

3. მასალები და მეთოდები

3.1. მეთოდოლოგიური მიდგომების ევოლუცია სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში

ისტორიული, სოციალური და ეკონომიკური პროცესების მეცნიერული გააზრების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება მეთოდოლოგიური საფუძვლების ევოლუციას (ფრანკფორტ-ნაჩმიასი & ნაჩმიასი, 2009; Bhattacherjee, 2012; Clark et al., 2021; Papava, 2020; Bedianashvili, 2018; ვეშაპიძე, 1999). რაც ნათლად იკვეთება როგორც ევროპულ, ისე ქართულ ინტელექტუალურ ტრადიციებში. აღნიშნული საკითხის გაანალიზება საშუალებას იძლევა შეფასდეს, თუ როგორ ჩამოყალიბდა და განვითარდა ქართული მეთოდოლოგიური აზროვნება ილია ჭავჭავაძიდან ივანე ჯავახიშვილამდე, ისტორიულ, სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტებში.

ევროპული ეკონომიკური აზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად გვევლინება ფრიდრიხ ლისტი, რომლის თეორია ეფუძნება ეკონომიკის ისტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ გააზრებას. ლისტის მიხედვით, ეკონომიკური განვითარება არ შეიძლება განიმარტოს მხოლოდ ბაზრის თვითრეგულაციის პრინციპებით; იგი დამოკიდებულია სახელმწიფოს პოლიტიკაზე, ეროვნულ ინტერესებსა და ისტორიულ პირობებზე. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვან თეორიულ საფუძველს ქმნის იმ მოსაზრებისთვის, რომ ეკონომიკური სისტემები უნდა განიხილებოდეს მათი ისტორიული განვითარების კონტექსტში, რაც შემდგომში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიურ განვითარებაზე (List, 1856).

გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენლები, მათ შორის ფრიდრიხ ლისტი, ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკური კანონები არ უნდა გავაიგივოთ ბუნების კანონებთან (როგორიცაა ფიზიკისა და ქიმიის კანონები), რადგან ბუნების კანონები უნივერსალურია და უცვლელი, მაშინ როცა ეკონომიკური პროცესები ასეთ სტაბილურ ხასიათს არ ატარებს. მათი აზრით, პოლიტიკური ეკონომია არ არის უნივერსალური მეცნიერება, რადგან ეკონომიკური მოვლენების შედეგები დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ

არაეკონომიკურ ფაქტორებზეც. ამ ფაქტორებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს „ადამიანური ფაქტორი“, ანუ სოციალური გარემო და საზოგადოების თავისებურებები. ამ უკანასკნელთა შორის ისინი განსაკუთრებით გამოყოფდნენ შემდეგს: ეროვნული თავისებურებები და ტრადიციები; ერის ისტორიული განვითარების გზა და მენტალიტეტი; ისტორიული შემთხვევითობები; ქვეყნის გეოგრაფიული პირობები; ეროვნული კულტურის, ფსიქოლოგიისა და რელიგიის სპეციფიკა. ამგვარად, მათი მიდგომით, ეკონომიკური პროცესების გაგება შეუძლებელია კონკრეტული ქვეყნის ისტორიული და სოციალური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე (იადგაროვი, 2014).

ანალოგიურად, ალფრედ მარშალის ნაშრომები ხაზს უსვამს ეკონომიკური ანალიზის ინტეგრირებულ ხასიათს, სადაც თეორიული მოდელები უნდა შეივსოს ისტორიული და სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით. მარშალის მიდგომა მიუთითებს, რომ ეკონომიკა არ არის სტატიკური სისტემა; იგი წარმოადგენს დინამიკურ პროცესს, რომელიც ყალიბდება დროის განმავლობაში და საჭიროებს კომპლექსურ მეთოდოლოგიურ ანალიზს. აღნიშნული ხედვა მნიშვნელოვნად უახლოვდება იმ პრინციპებს, რომლებიც მოგვიანებით დამკვიდრდა როგორც ისტორიულ, ისე სოციალურ კვლევებში (Marshall, 1890).

მარშალის მიხედვით ეკონომიკის შესწავლისას მხოლოდ ციფრებისა და თეორიული მოდელების გამოყენება არ არის საკმარისი. ამასთან ერთად საჭიროა: ისტორიის გათვალისწინება - როგორ ვითარდებოდა ქვეყანა და ეკონომიკა დროთა განმავლობაში; უნდა გავითვალისწინოთ სოციალური გარემო - ადამიანების ქცევა, ტრადიციები, კულტურა; მნიშვნელოვანია რეალური ფაქტების ანალიზიც და არა მხოლოდ თეორია; ხშირად საჭიროა სხვადასხვა მეთოდის, სტატისტიკის, დაკვირვების, ისტორიული ანალიზის, ერთად გამოყენება (იადგაროვი, 2014).

სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგიური სტანდარტიზაციის საკითხი განსაკუთრებით მკაფიოდ არის დამუშავებული ჩ. ფრანკფორტ ნაჩმიასისა და დ. ნაჩმიასის ნაშრომებში. მათი მიდგომა ეფუძნება კვლევის პროცესის მკაფიო ორგანიზებას, ერთგვაროვან მეთოდებსა და გააზრებულ ანალიზს, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მეცნიერული ცოდნის სანდოობასა და გადამოწმებადობას. (ფრანკფორტ-ნაჩმიასი & ნაჩმიასი, 2009). კერძოდ, კვლევის პროცესის სისტემატიზაცია ნიშნავს, რომ კვლევა მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული ეტაპების მიხედვით - მკვლევარი ჯერ აყალიბებს პრობლემას, შემდეგ აყენებს ჰიპოთეზას, არჩევს მეთოდებს, აგროვებს მონაცემებს და ბოლოს აკეთებს დასკვნებს. ეს პროცესს ხდის მოწესრიგებულსა და ლოგიკურს. სტანდარტიზებული მეთოდები გულისხმობს ისეთი კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლებიც ერთნაირად შეიძლება გამოიყენოს სხვა მკვლევარმაც - მაგალითად, ერთნაირი კითხვარები ან ანალიზის წესები. ეს უზრუნველყოფს შედეგების შედარებადობას

და მათ გადამოწმების შესაძლებლობას. ხოლო კრიტიკული ანალიზი ნიშნავს, რომ მკვლევარი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტების აღწერით, არამედ ცდილობს ახსნას მიზეზები, შეაფასოს წყაროების სანდოობა და განიხილოს განსხვავებული ინტერპრეტაციები. ამგვარად, აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს იმისთვის, რომ ისტორიული და ეკონომიკური კვლევები განხორციელდეს არა მხოლოდ აღწერით, არამედ ანალიტიკურ და კრიტიკულ დონეზე.

თანამედროვე ქართულ ეკონომიკურ აზროვნებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ვლადიმერ პაპავას, რომელიც თავის ნაშრომში ამახვილებს ყურადღებას ეკონომიკური კვლევის პრაქტიკულობაზე და რეალურ პროცესებთან სიახლოვეზე. ვ. პაპავა აბსტრაქტულ, დაშვებებზე დაფუძნებული მოდელების გამოყენებასთან ერთად გვთავაზობს „არატრადიციული ეკონომიკსის“ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური რეალობის უფრო სიღრმისეულ და ადეკვატურ ასახვას. მისი ხედვა ხაზს უსვამს, რომ ეკონომიკური თეორიები უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული კონკრეტულ სოციალურ და ისტორიულ გარემოსთან (Papava, 2020). აღნიშნული ავტორების თეორიული მიდგომების ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ილია ჭავჭავაძის ინტელექტუალური მემკვიდრეობა, რომელიც, მიუხედავად ნაკლებად ფორმალიზებული მეთოდოლოგიური ჩარჩოებისა, შეიცავს ისტორიული პროცესების სიღრმისეულ გააზრებას. ილია ისტორიის განხილვას ახდენს არა მხოლოდ მოვლენათა აღწერის, არამედ საზოგადოების განვითარების განმარტების ჭრილში, რაც გულისხმობს სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორების ერთიან ანალიზს. მისი ხედვა ქმნის იმ თეორიულ საფუძველს, რომელიც შემდგომში უფრო სისტემური და მეცნიერული ფორმით ვითარდება (ჭავჭავაძე,1880;1886a;1886b;1887;1888a;1888b;1889a;1889b;1897a;1897b;1899).

3.2. ივანე ჯავახიშვილის ისტორიული კვლევის მეთოდოლოგიური სისტემა: წყაროთა კრიტიკა და შედარებითი ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში, მკაფიოდ იკვეთება მეცნიერული მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები - წყაროთა კრიტიკა, მონაცემთა სისტემატიზაცია, ისტორიული პროცესების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი და ლოგიკური სტრუქტურირება. ჯავახიშვილის მიდგომა ლოგიკურ თანხვედრაში ჩანს თანამედროვე სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგიურ სტანდარტებთან და გარკვეულწილად ეხმიანება როგორც ილია ჭავჭავაძის, ფრანკფორტ ნაჩმიასისა და ნაჩმიასის, ისე მარშალისა და ლისტის, ასევე ჩვენი თანამედროვეების ხედვებს.

წარმოდგენილი ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული მეთოდოლოგიური აზროვნება განვითარდა ინტელექტუალური ტრანსფორმაციის გზით - ილია ჭავჭავაძის იდეებიდან, რომლებიც საფუძვლად უდევს ისტორიული და სოციალური პროცესების

გააზრებას, ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულად სისტემატიზებულ მეთოდოლოგიამდე. ამ ევოლუციას მნიშვნელოვანი პარალელები გააჩნია ევროპულ და თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებთან, რაც მიუთითებს ქართული ისტორიოგრაფიის ინტეგრაციას ფართო მეცნიერულ დისკურსში.

ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, ილია ჭავჭავაძის ისტორიული აზროვნება სცილდება მხოლოდ ნარატიულ-აღწერით დონეს და გადადის ისტორიის მეცნიერული ანალიზის სივრცეში. მისთვის ისტორია არ არის მხოლოდ წარსულის ფაქტების ერთობლიობა; იგი წარმოადგენს რთულ, კანონზომიერ პროცესს, რომლის გაგება შეუძლებელია მისი მამოძრავებელი ძალების - სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების - გათვალისწინების გარეშე. ამ თვალსაზრისით, ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ პირველ ქართველ მოაზროვნედ გვევლინება, რომელმაც ისტორიული პროცესის საფუძვლების კვლევის აუცილებლობა წამოჭრა (ვეშაპიძე, 1999).

ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ისტორიული ცოდნა ვერ იქნება სანდო, თუ იგი არ ეყრდნობა მკაფიო მეთოდოლოგიურ პრინციპებს. მისი აზრით, ისტორიკოსის მთავარი ამოცანაა არა მხოლოდ ფაქტების შეგროვება, არამედ მათი კრიტიკული გააზრება, ისტორიულ კონტექსტში ჩასმა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. სწორედ ამ მიდგომას უკავშირებს იგი ილია ჭავჭავაძის მოთხოვნას - ისტორიული პროცესის გააზრება უნდა ხდებოდეს ეპოქის შიგნიდან, ე.წ. „ისტორიული პერსპექტივის“ გათვალისწინებით. ეს პრინციპი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური მეთოდოლოგიური მოთხოვნა.

ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ილია ჭავჭავაძის მიერ ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიურ გააზრებაზე და გამოყოფს მისთვის არსებით ორ ძირითად მიდგომას.

პირველი არის ისტორიული კრიტიკის მეთოდი, რომელიც მოიცავს წყაროთა სანდოობის გადამოწმებას, ფაქტობრივი სიზუსტის დადგენას და ისტორიულ ნარატივში არსებული უზუსტობებისა თუ დამახინჯებების გამოვლენას. აღნიშნული მეთოდი ემყარება კრიტიკულ ანალიზს და მიზნად ისახავს ისტორიული ცოდნის მეცნიერულ საფუძვლებზე დაფუძნებას.

მეორეა შედარებითი მეთოდი, რომელიც გულისხმობს ისტორიული მოვლენებისა და პროცესების პარალელურ ანალიზს როგორც სხვადასხვა ქვეყნების, ისე განსხვავებული ეპოქების კონტექსტში. ამ გზით შესაძლებელი ხდება საერთო ტენდენციების, კანონზომიერებებისა და სპეციფიკური თავისებურებების გამოკვეთა.

აღნიშნული მეთოდები წარმოადგენს ისტორიული კვლევის მეცნიერული მიდგომის მნიშვნელოვან საფუძველს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისტორიოგრაფიული აზრის განვითარებას.

4. შედეგების განხილვა

4.1. ივანე ჯავახიშვილის ინტერდისციპლინური ინტერპრეტაცია: ილია ჭავჭავაძის ისტორიული ხედვა და ისტორიული პროცესის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები

მნიშვნელოვანია, რომ ილია ჭავჭავაძის კონცეფციაში, ჯავახიშვილის ინტერპრეტაციით, ცენტრალური ადგილი უკავია სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების კვლევას. ისტორიული მოვლენების ახსნა, მისი აზრით, შეუძლებელია მხოლოდ პოლიტიკური ისტორიით; აუცილებელია საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის, ეკონომიკური წყობისა და სოციალური ურთიერთობების ანალიზი. მაგალითად, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის ახსნისას ილია ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ სამხედრო გმირობაზე, არამედ იმ ეკონომიკურ საფუძვლებზე, რომლებმაც შესაძლებელი გახადა ქვეყნის ხანგრძლივი წინააღმდეგობა მრავალრიცხოვან მტრებთან.

ნამდვილი ისტორიკოსის რაობის განსაზღვრისას ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ისტორიის შესწავლა უნდა ემყარებოდეს ეპოქის სწორ გაგებასა და იმდროინდელი აზროვნების გათვალისწინებას. სწორედ იმ წერილებში, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ივანე ჯავახიშვილმა, ნათლად იკვეთება, რომ ილიასთვის დაუშვებელი იყო წარსულის შეფასება თანამედროვე თვალთახედვით — ისტორიკოსი თითქოს „უნდა ჩაჯდეს იმ დროის ქერქში“ და იქიდან აღიქვას მოვლენები, რაც თანამედროვე ტერმინით ისტორიულ პერსპექტივად იწოდება. ჯავახიშვილმა ამ მიდგომაში დაინახა არა მხოლოდ მეთოდოლოგიური მოთხოვნა, არამედ ისტორიის სიღრმისეული გააზრების აუცილებელი პირობა და სწორედ ეს პრინციპი იქცა მისი საკუთარი მეცნიერული მუშაობის ერთ-ერთ საყრდენადაც.

ილიასავე პუბლიცისტურ წერილებზე დაკვირვებით, ჯავახიშვილი განსაკუთრებულად გამოყოფდა იმ კითხვას, რომელსაც ილია სვამდა საქართველოს ისტორიის უნიკალური ფენომენის შესახებ - როგორ მოახერხა ერმა მრავალსაუკუნოვანი არსებობა თითქმის უწყვეტი ომებისა და გარე საფრთხეების პირობებში. მისთვის საკმარისი არ იყო მხოლოდ გმირობის ხაზგასმა; როგორც ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ილია ეძებდა იმ რეალურ საფუძვლებს, რომლებიც საზოგადოებას კვებავდა და აძლიერებდა. სწორედ ამ წერილებში დაინახა მან ილიას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნოვაცია - ისტორიული პროცესების ეკონომიკური საფუძვლის წინა პლანზე წამოწევა. ილია ამტკიცებდა, რომ ისტორიის

გასაგებად აუცილებელია წარმოების, ვაჭრობის, მიწის ფლობისა და სხვა მატერიალური პირობების ანალიზი, რადგან მხოლოდ გმირობა ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრადობას, თუ ეკონომიკური ბაზა სუსტია - და სწორედ ამ აზრის მნიშვნელობა ჯავახიშვილმა სრულად გააცნობიერა და შემდგომში მეცნიერულად განავითარა.

ილია ჭავჭავაძე 1897 წლის 31 დეკემბერს ცდილობდა გაეანალიზებინა და ამოეხსნა, როგორ შეძლო ქართველმა ერმა ორი ათასი წლის განმავლობაში, უწყვეტი ომებისა და მძიმე განსაცდელების მიუხედავად, საკუთარი არსებობის შენარჩუნება. მისთვის მთავარი კითხვა იყო: რა გვაძლევდა ძალას და როგორ გადავრჩით? ილიამ ამ კითხვაზე პასუხიც დასვა და დაასკვნა, რომ საქართველოს გადარჩენა ორ ძირითად საფუძველს ეყრდნობოდა.

პირველი იყო ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა და პროფესიონალიზმის ერთობა. როგორც თავად წერს: „ ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, - რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა?... ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით... დროის შესაბამისი ცოდნა გვქონდა, დროის შესაბამისი მხნეობა და გამრჯელობა“ (ჭავჭავაძე, 1897b). სწორედ ამ სიტყვებში, ჯავახიშვილმა დაინახა ილიას ისტორიული ხედვის არსი - ერის ძალა მდგომარეობს მის უნარში, ეპოქის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს, ფლობდეს შესაბამის ცოდნას, უნარებსა და მოქმედების შესაძლებლობას.

მეორე უმნიშვნელოვანესი საფუძველი, ილიას მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური წყობა იყო. ჯავახიშვილისთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ის გარემოება, რომ ილია ისტორიის ახსნას ეკონომიკურ რეალობაში ხედავდა. როგორც ილია აღნიშნავდა, ძველ საქართველოში მიწა შედარებით სამართლიანად იყო განაწილებული, რის შედეგადაც უმამულო და უსახლკარო ადამიანი იშვიათად მოიძებნებოდა. ამგვარმა სისტემამ ხელი შეუწყო მიწათმოქმედების განვითარებას, რომელიც ქვეყნის არსებობის მყარ საფუძვლად იქცა. ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებასაც, რომ მიწის ფლობა შეზღუდული იყო და არ ხდებოდა მისი გადაჭარბებული კონცენტრაცია ერთ ხელში. ტყეები და საძოვრები საერთო საკუთრებად მიიჩნეოდა, რაც საზოგადოების ერთიანობას ამყარებდა. სწორედ ამგვარი დაკვირვებები იქცა, ჯავახიშვილისთვის, საფუძვლად ეკონომიკური ისტორიის მეცნიერული გააზრებისა.

ამგვარად, ჯავახიშვილმა ილიას ნააზრევში დაინახა, რომ საქართველოს გადარჩენის „საიდუმლო“ მდგომარეობდა როგორც ეროვნული ძალისხმევის სწორ მიმართულებაში, ისე ეკონომიკური წყობის გონივრულ ორგანიზებაში. სწორედ ამ ორი ფაქტორის ერთობლიობამ უზრუნველყო ერის სიცოცხლისუნარიანობა და ისტორიული მდგრადობა - და ეს დასკვნა მისთვის არა მხოლოდ შეფასება, არამედ კვლევის პროგრამადაც იქცა.

ეს ხედვა მოიცავს ასევე მიწის მფლობელობის ფორმების გააზრებას - სამსოფლო (საერთო) და საკომლო (კერძო) სისტემების თანაარსებობასა და მათ გავლენას სოციალურ თანასწორობაზე. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ ილიას აზრით, სწორედ ამ ბალანსის დარღვევა, კერძო საკუთრების გადაჭარბებული გაძლიერება და შედეგად წარმოშობილი უთანასწორობა გახდა ქვეყნის დასუსტების ერთ-ერთი მიზეზი. ამდენად, ისტორიის კვლევა, ილიას მიხედვით და ჯავახიშვილის ინტერპრეტაციით, გულისხმობდა არა მხოლოდ პოლიტიკურ მოვლენებსა და მეფეთა საქმიანობას, არამედ საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურასაც.

სწორედ ამ მიზეზით, ივანე ჯავახიშვილმა ილიას იდეები არა მხოლოდ გააანალიზა, არამედ აკადემიურ სივრცეშიც განავითარა. თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 1927 წლამდე იგი თავის მიერ დაწერილ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ კურსსაც კითხულობდა, რაც პირდაპირ ასახავდა იმ გავლენას, რომელიც ილია ჭავჭავაძის ნოვატორულმა ხედვამ მოახდინა მასზე. რამაც, როგორც თავად აღნიშნავდა, აუცილებელი გახდა „ძველი საქართველოს ეკონომიური ისტორიის მთელი თავისი სიღრმით და სივრცით წარმოდგენა“ (ჯავახიშვილი, 1998).

ამგვარად, ილიას ისტორიოგრაფიული ხედვა - ისტორიის ეკონომიკურ საფუძველზე აგებული გააზრება - ჯავახიშვილის მიერ არა მხოლოდ შეფასდა, არამედ გარდაიქმნა აკადემიურ კვლევის მეთოდად. სწორედ ამ გზით იქცა ილიას ნოვატორული იდეები ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად.

ჯავახიშვილი ხაზს უსვამს, რომ სწორედ აქ ვლინდება ილია ჭავჭავაძის მეთოდოლოგიური სიახლე: მან ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აღიარა, რომ ისტორიული პროცესის გასაგებად აუცილებელია ეკონომიკური საფუძვლის კვლევა. ეს მიდგომა არსებითად უსწრებს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მდგომარეობას, რომელიც იმ პერიოდში უმეტესად ფაქტოლოგიურ და უსისტემო ხასიათს ატარებდა. ილია ჭავჭავაძის მიერ დასმული კითხვა - რა სოციალური და ეკონომიკური ძალები განსაზღვრავენ ისტორიულ განვითარებას - ჯავახიშვილისთვის იქცა ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯავახიშვილის ხედვა ისტორიის ფუნქციის შესახებ. მისი აზრით, ისტორია არა მხოლოდ წარსულის შემეცნების საშუალებაა, არამედ აწმყოსა და მომავლის გაგების საფუძველი. ისტორიული გამოცდილების გააზრება საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ როგორც საზოგადოების ძლიერ, ისე სუსტ მხარეები, რაც აუცილებელია ეროვნული განვითარების სწორად წარმართვისთვის. ამ კონტექსტში ისტორიის ცოდნა გარდაიქმნება პრაქტიკულ ინსტრუმენტად, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების თვითშეგნებას და განვითარების პერსპექტივებს.

ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური ხედვა, რომელიც ილია ჭავჭავაძის ისტორიულ კონცეფციას ეყრდნობა, მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული საფუძვლების ფორმირების პროცესში. მან ისტორიული კვლევის პრაქტიკაში დაამკვიდრა ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა ისტორიული მოვლენებისა და პროცესების კომპლექსური ანალიზი, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების პრიორიტეტული მნიშვნელობის აღიარება, მოვლენათა ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინება და წყაროთა კრიტიკული შეფასება.

ჯავახიშვილის აზრით, ისტორიის სრულყოფილი და მეცნიერულად დასაბუთებული გააზრება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აღიქმება როგორც მრავალფაქტორული და მრავალგანზომილებიანი პროცესი, რომლის საფუძველსაც საზოგადოებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული რეალობა წარმოადგენს. ამგვარი მიდგომა ისტორიულ ცოდნას ანიჭებს მეცნიერული დისციპლინის სტატუსს და განამტკიცებს მის მნიშვნელობას როგორც ეროვნული, ისე ზოგადსაკაცობრიო ისტორიული ცნობიერების ფორმირების საქმეში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებასაც, რომ ისტორიული სინამდვილის ადეკვატურად შესწავლისა და ინტერპრეტაციის მიზნით ივანე ჯავახიშვილი ფართოდ მიმართავდა ინტერდისციპლინურ კვლევით მიდგომებს. ისტორიული პროცესების განმარტებისას იგი იყენებდა არა მხოლოდ ისტორიის, არამედ ეკონომიკის, პოლიტიკის, სახელმწიფო მართვის, სამართლის, კულტურის ისტორიისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მონაცემებს. სწორედ სხვადასხვა დისციპლინის სინთეზი აძლევდა მას შესაძლებლობას, ისტორიული მოვლენები განეხილა მათი მიზეზობრივი კავშირების, სტრუქტურული თავისებურებებისა და განვითარების დინამიკის კონტექსტში.

ამ კონცეფციის ფარგლებში ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა, რომ საზოგადოების განვითარება არ განისაზღვრება მხოლოდ პოლიტიკური მოვლენებითა და ცალკეულ ისტორიულ პიროვნებათა საქმიანობით. ისტორიული პროცესების განმსაზღვრელ ფაქტორებად იგი მიიჩნევდა სოციალურ ურთიერთობებს, ეკონომიკურ სტრუქტურებს, მატერიალურ პირობებსა და კულტურულ გარემოს, რომლებიც საზოგადოების განვითარების საფუძველს ქმნიან. შესაბამისად, ისტორიის კვლევა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკური ურთიერთობების, სოციალური ორგანიზაციის ფორმების, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კულტურული პროცესების ურთიერთდაკავშირებულ და კომპლექსურ ანალიზს, რაც ისტორიული რეალობის უფრო სრულყოფილ და ობიექტურ სურათს წარმოაჩენს.

ისტორიული პროცესის სოციალური და ეკონომიკური საფუძვლების გააზრებისას ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერულ ობიექტურობასა და კრიტიკულ ანალიზს. მისი მეთოდოლოგიური მიდგომა გვიჩვენებს, რომ ისტორიის კვლევა

არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ წარსულის იდეალიზაციას; პირიქით, აუცილებელია როგორც მიღწევების, ისე ნაკლოვანებების გამოკვეთა. ამგვარი ხედვა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ეპოქაში, სადაც საერთაშორისო პოლიტიკასა და გლობალურ ურთიერთობებში გადამწყვეტ როლს აწმყო, მისი ეკონომიკური პოტენციალი და კულტურული განვითარება ასრულებს (ჯავახიშვილი, 1904).

ამ კონტექსტში, დღეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ საკუთარი ისტორიული მემკვიდრეობის გააზრება, არამედ მისი პრაგმატული ტრანსფორმაცია თანამედროვე რეალობაში. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შორის ქმნის შესაძლებლობას, რომ საქართველომ იკისროს დამაკავშირებელი, ინტეგრაციული როლი რეგიონში. თანამშრომლობაზე, ეკონომიკურ კავშირებსა და კულტურულ დიალოგზე დაფუძნებული საერთო სივრცის ფორმირება იმპერიულიდან დემოკრატიული გეოპოლიტიკისაკენ - რასაც „ცენტრალური კავკაზიის“ კონცეფცია გულისხმობს - შეიძლება იქცეს სტაბილურობისა და განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად (პაპავა, 2009; Papava, 2010; ისმაილოვი, პაპავა, 2012).

ვლადიმერ პაპავას კონცეფციის ფარგლებში ფორმულირებულია ახალი გეოპოლიტიკური ხედვა, რომლის მიხედვითაც ცენტრალური აზიის ხუთი სახელმწიფო - თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი - და ცენტრალური კავკასიის სამი ქვეყანა - აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი - ერთობლივად ქმნიან ინტეგრირებულ გეოპოლიტიკურ სივრცეს, რომელიც მოიხსენიება როგორც „ცენტრალური კავკაზია“ (პაპავა, 2009).

აღნიშნული რეგიონი განიხილება, როგორც საერთო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების მქონე ერთეული, რომლის წინაშეც დგას კომპლექსური ეკონომიკური, სატრანსპორტო და უსაფრთხოების გამოწვევები. კონცეფციის მიხედვით, ამ პრობლემათა ეფექტიანი გადაწყვეტის ერთ-ერთ ოპტიმალურ გზას წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის კოორდინირებული, ურთიერთსარგებლობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა და გაერთიანებული ძალისხმევა.

ასეთი ინტეგრაციული მიდგომა ხელს უწყობს რეგიონული სტაბილურობის განმტკიცებას, ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან რეალიზაციას და გლობალურ პროცესებში რეგიონის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ამგვარი სტრატეგიული ხედვა სრულად შეესაბამება ჯავახიშვილის მეთოდოლოგიურ პრინციპს: წარსულის კრიტიკული გააზრება უნდა ემსახურებოდეს აწმყოს გაძლიერებას. სწორედ ამიტომ, ისტორიული გამოცდილების გაანალიზება, მათ შორის არსებული სისუსტეების აღიარება, წარმოადგენს წინაპირობას იმისა, რომ საზოგადოებამ შეძლოს

საკუთარი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მათი მიმართვა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესისაკენ.

5. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების პროცესში და წარმოადგენს ისტორიული კვლევის მეცნიერული მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს. მის ნაშრომებში ისტორიის კვლევა აღწერით და მოვლენათა ქრონოლოგიური გადმოცემის ფარგლებს გასცდა და იგი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პროცესების მიზეზ-შედეგობრივ ანალიზს დაეფუძნა. ამგვარი მიდგომა ისტორიულ რეალობას განიხილავს, როგორც მრავალფაქტორულ და დინამიკურ სისტემას, რომლის სრულყოფილი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების, ეკონომიკური სტრუქტურებისა და კულტურული გარემოს ურთიერთკავშირის შესწავლის საფუძველზე.

კვლევამ დაადასტურა, რომ ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური კონცეფცია მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა ილია ჭავჭავაძის ისტორიულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, თუმცა იგი ამ იდეებს ანიჭებს მეცნიერულად ორგანიზებულ და თეორიულად გამართულ სახეს. შედეგად, ისტორიული პროცესების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების კვლევა გარდაიქმნება დამოუკიდებელ ანალიტიკურ მიმართულებად, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების მატერიალურ და ინსტიტუციურ განვითარების ფაქტორებს.

ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური ხედვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენებაა. ისტორიული პროცესების სრულყოფილი და ობიექტური გააზრების მიზნით იგი ისტორიის კვლევას უკავშირებდა ეკონომიკის, პოლიტიკის, სახელმწიფო მართვის, სამართლისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მონაცემებს. სხვადასხვა დისციპლინის სინთეზი ჯავახიშვილს საშუალებას აძლევდა ისტორიული მოვლენები განეხილა მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, სტრუქტურული თავისებურებებისა და განვითარების დინამიკის ერთიან კონტექსტში, რაც მისი მეცნიერული მეთოდოლოგიის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენდა.

ამასთან, ევროპული ეკონომიკური და ისტორიული აზროვნების წარმომადგენელთა ნაშრომებთან, აგრეთვე თანამედროვე მეთოდოლოგიურ კონცეფციებთან შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ჯავახიშვილის კვლევითი მიდგომა ორგანულად ერწყმის საერთაშორისო მეცნიერულ დისკურსს, ხოლო ეროვნული ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით ინარჩუნებს საკუთარ ინტელექტუალურ თვითმყოფადობას.

ამდენად, ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური სისტემა არა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია, არამედ წარმოადგენს ეკონომიკური ისტორიის, სოციალური მეცნიერებებისა და თანამედროვე ინტერდისციპლინური კვლევებისათვის მყარ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს. მისი მიდგომა დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ აქტუალობას და მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს როგორც ისტორიული პროცესების სიღრმისეული გააზრების, ისე თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების ანალიზის თვალსაზრისით.

ბიბლიოგრაფიული წყაროები

1. ვეშაპიძე, შ. (1999). *ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები*. თბილისი.
2. ვეშაპიძე, შ. (2018). *კაცობრიული ღირებულებები ეკონომიკური ხედვით*. გამომცემლობა „Smarty“.
3. იადგაროვი, ი. (2014). *ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია* (ა. სილაგაძე, სამეცნიერო რედ.). თბილისი.
4. ისმაილოვი, ე., & პაპავა, ვ. (2012). *ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება*. ინტელექტი.
5. პაპავა, ვ. (2009). *ცენტრალური კავკაზია (გეოპოლიტეკონომიური ნარკვევი)*. სიახლე.
6. რობაქიძე, გ. (1996). *ჩემთვის სიმართლე ყველაფერია*. კრებული. ჯეკ-სერვისი.
7. ფრანკფორტ-ნაჩმიასი, ჩ., & ნაჩმიასი, დ. (2009). *კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში*. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. ჭავჭავაძე, ი. (1880). ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ.
9. ჭავჭავაძე, ი. (1886a). ლუარსაბ წამებული (ლუარსაბ წამებულის მოსახსენებელი დღისათვის – 21 ივნისისათვის).
10. ჭავჭავაძე, ი. (1886b). საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი (ძველ-ქართულ ხელნაწერთა და სიგელ-გუჯართა აღწერის საჭიროებაზე).
11. ჭავჭავაძე, ი. (1887). ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ.
12. ჭავჭავაძე, ი. (1888a). დავით აღმაშენებელი (დავით აღმაშენებელის მოსახსენებელი დღისათვის — 26 იანვრისათვის).
13. ჭავჭავაძე, ი. (1888b). ერი და ისტორია.
14. ჭავჭავაძე, ი. (1889a). აი ისტორია.
15. ჭავჭავაძე, ი. (1889b). გზა-და-გზა და სხვათა შორის.
16. ჭავჭავაძე, ი. (1897a). საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები.
17. ჭავჭავაძე, ი. (1897b). რა გითხრათ? რით გაგახაროთ?
18. ჭავჭავაძე, ი. (1899). ასის წლის წინათ.
19. ჭავჭავაძე, ი. (1927). *ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად* (ტ. V). ტფილისი.
20. ჯავახიშვილი, ი. (1904). *მამულიშვილობა და მეცნიერება*. ელ-სტამბა წიგ. გ. ქ. ა-სა.
21. ჯავახიშვილი, ი. (1930). *საქართველოს ეკონომიური ისტორია* (წიგნი 1). ტფილისი.
22. ჯავახიშვილი, ი. (1934). *საქართველოს ეკონომიური ისტორია* (წიგნი 2). გამომცემლობა „ფედერაცია“.
23. ჯავახიშვილი, ი. (1938). *ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია*. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.
24. ჯავახიშვილი, ი. (1977). *ძველი ქართული საისტორიო მწერლობა*. თხზულებანი თორმეტ ტომად (ტ. VIII). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
25. ჯავახიშვილი, ი. (1979). *ქართველი ერის ისტორია*. თხზულებანი თორმეტ ტომად (ტ. I). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

26. ჯავახიშვილი, ი. (1982). *ქართველი ერის ისტორია*. თხზულებანი თორმეტ ტომად (ტ. III). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
27. ჯავახიშვილი, ი. (1983). *ქართველი ერის ისტორია*. თხზულებანი თორმეტ ტომად (ტ. II). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
28. ჯავახიშვილი, ი. (1998). *საქართველოს ეკონომიური ისტორია* (1907 წლის გამოცემა). თხზულებანი თორმეტ ტომად (ტ. XII). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
29. ჯორბენაძე, ს. (1984). *ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
30. Bedianashvili, G. (2018). Culture as a factor of knowledge economics with paradigmatic changes in systemic institutional context. *Globalization and Business, 6*, 58–66. https://doi.org/10.35945/gb.2018.06.007
31. Bhattacherjee, A. (2012). Social science research: Principles, methods, and practices. University of South Florida.
32. Clark, T., Foster, L., Bryman, A., & Sloan, L. (2021). *Bryman's social research methods* (6th ed.). Oxford University Press.
33. List, F. (1856). National system of political economy (G. A. Matile, Trans.; H. Eichelot, Notes; S. Colwell, Ed.). J. B. Lippincott & Co.
34. Marshall, A. (1890). Principles of economics (8th ed.). Liberty Fund.
35. Papava, V. (2010). Central Caucaso-Asia: From imperial to democratic geopolitics. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 4*(1).
36. Papava, V. (2020). *Unconventional economics: Methodology and methodics* [In Georgian]. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House.